

ევროპის ებრაული სასაფლაოების დაცვა: შესწავლის პროცესის განგრძობა, თანამონაწილეობა და ცნობიერების ამაღლება (EAC/S10/2019)

პროექტს ახორციელებენ



Co-funded by the
European Union



განაცხადების მიღება: გაკვეთილების გეგმა “ადგილობრივი ებრაული სასაფლაოები”

მოხარული ვართ მოვიწვიოთ სკოლისა და უნივერსიტეტის მასწავლებლები ხორვატიიდან, უნგრეთიდან, სლოვაკეთიდან, უკრაინიდან, პოლონეთიდან ლიტვიდან და საქართველოდან, რათა მათ წარმოადგინონ გაკვეთილების გეგმა თემაზე: „ადგილობრივი ებრაული სასაფლაოს გამოყენება სასწავლო პროცესში“

გამარჯვებული 20 მასწავლებლის პროექტი დაჯილდოვდება 100 ევროს ჰონორარით.

გთხოვთ გაითვალისწინოთ კრიტერიუმები:

- > გაკვეთილის გეგმა უნდა იყოს შემდეგი პრინციპებით შედგენილი
- > გაკვეთილის გეგმა უნდა ეხებოდეს ებრაულ სასაფლაოს თქვენს ქვეყანაში

ენა:

- > თქვენი გაკვეთილის გეგმა შეგიძლიათ გაწეროთ ინგლისურ ან ქართულ ენაზე.

გთხოვთ აღნიშნული გეგმა გადაუგზავნოთ თქვენს ადგილობრივ კოორდინატორს:

საქართველო:

თეონა დალაქიშვილი teonadalak@gmail.com

ევროპის ებრაული სასაფლაოების დაცვა: შესწავლის პროცესის განგრძობა, თანამონაწილეობა და ცნობიერების ამაღლება (EAC/S10/2019)

პროექტს ახორციელებენ



Co-funded by the
European Union



გაკვეთილების გეგმის შედგენის სახელმძღვანელო:
“ებრაული სასაფლაოების გამოყენება სასწავლო
პროცესში”

გამოიყენეთ ერთ-ერთი მონაცემთა ბაზა, რათა მოიძიოთ ებრაული სასაფლაო თქვენს ქალაქში, და მოგვიყვით, როგორ შექმენით გაკვეთილის გეგმა თქვენი მოსწავლეებისათვის:

ებრაული სასაფლაოების საერთაშორისო პროექტი

<http://iajgscemetery.org/eastern-europe>

<https://www.jewishgen.org/databases/Cemetery/tree/CemList.htm>

დამატებითი რესურსის სახით, ჩვენ გირჩევთ გამოიყენოთ ევროპაში ებრაული მემკვიდრეობის ვებგვერდი, სადაც ასევე შეძლებთ მოიძიოთ ინფორმაცია შესაბამის ლოკაციებზე:

<https://jewish-heritage-europe.eu/croatia/heritage-heritage-sites/>

ადგილობრივი ებრაული მემკვიდრეობის ძეგლები და საფლავები:

<http://culturalroutes.gov.ge/Routes/>

გსურთ დაუკავშიროთ ებრაული სასაფლაო პერსონალურ ისტორიას? მოიძიეთ ინფორმაცია ცენტროპას 1200 ბიოგრაფიას შორის, რომელიც იმ ადამიანებს ეხება, რომელთაც შეძლეს ჰოლოკოსტის პერიოდში გადარჩენა, ჩვენი არქივი 20 000-მდე უფასო ფოტოს მოიცავს, ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩვენი 50-მდე მოკლემეტრაჟიანი ფილმი (სამწუხაროდ მასალა ჯერ არ არის ხელმისაწვდომი ქართულ ენაზე).

<https://www.centropa.org>

მოიძიეთ რუკები, აღწერები და ფოტოები ESJF-ის ვებგვერდზე:

<https://www.esjf-surveys.org/surveys-esjf/>

ან გამოიყენეთ **ESJF-ის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო: ებრაული სასაფლაოები საკლასო ოთახში** (სადაც წარმოდგენილია შესავალი ებრაული სასაფლაოების შესახებ, სიმბოლოები და ეპიტაფიები, ასევე პრაქტიკული სავარჯიშოები).

https://issuu.com/esjf/docs/jewish_cemeteries_in_the_classroom_-_an_esjf_guide

ქვემოთ არის შეთავაზებები თქვენი იდეების განვითარებისთვის:

- სთხოვეთ თქვენს მოსწავლეებს მოიძიონ ინფორმაცია ადგილობრივი ებრაული საფლავების შესახებ;
- მოიძიეთ ისეთი ადამიანის ბიოგრაფია, ვინც დაკრძალულია თქვენთან მდებარე ებრაულ სასაფლაოზე;
- სთხოვეთ თქვენს მოსწავლეებს გადაიღონ ფოტოები ებრაულ სასაფლაოზე, და შექმნან პრეზენტაცია/ბროშურა მისი მდგომარეობის შესახებ;
- ESJF სახელმძღვანელოს დახმარებით, დაავალეთ თქვენს სტუდენტებს შეისწავლონ ეპიტაფიები საფლავის ქვებზე, და გაიგონ მათი მნიშვნელობა;
- მოიძიეთ თქვენი ქალაქის ებრაული თემის ისტორია, და სთხოვეთ მოსწავლეებს გადმოსცენ ეს ისტორია ებრაული სასაფლაოს დახმარებით;

გაითვალისწინეთ: სავალდებულოა შემდეგი ფორმატის გამოყენება

-> გამოიყენეთ ეს სტრუქტურა გაკვეთილის გეგმის შედგენისას:

I შესავალი

- დაასათაურეთ გაკვეთილი
- სახელი და გვარი, სკოლა/საგანმანათლებლო დაწესებულება, საგანი რომელსაც ასწავლით
- თქვენი გაკვეთილის ძალიან მოკლე აღწერა (1-2 წინადადება)
- საგანი (მაგალითად: ეთიკა, ისტორია, რელიგია)
- თქვენი მოსწავლეების კლასი და ასაკი
- ხანგრძლივობა (მაგალითად ორი 45 წუთიანი გაკვეთილი)
- უკვე ჩაატარეთ სატესტო გაკვეთილი? (დიახ/არა)

II ზოგადი ინფორმაცია

- 1. კონტექსტი გაკვეთილის/პრობლემისთვის** – რამდენად კავშირშია ეს თემატიკა იმ საგანთან რასაც ასწავლით? არის რამე პრობლემა, რომელსაც ეხებით ამ გაკვეთილით?
- 2. საერთო/საბაზისო აზრი** – ეს არის ის ძირითადი იდეა, ცოდნა, რაც გასურთ რომ თქვენმა მოსწავლემ მიიღოს ამ გაკვეთილიდან. 10 წლის შემდეგ, როდესაც ისინი ინფორმაციას დაივიწყებენ, რა დარჩება მათ მეხსიერებაში??
- 3. მიზნები/ამოცანები:** რა არის ამ გაკვეთილის მიზანი/ამოცანები? ჩამოთვალეთ: რა ცოდნას მიიღებენ მოსწავლეები, რა უნარებს განივითარებენ, როგორ იმოქმედებს მათ ქცევაზე მომავალში.
- 4. რა რესურსები გჭირდებათ?** ჩამოთვალეთ ყველა რესურსი, ეს შეიძლება იყოს ლინკები, სპეციფიური ფილმები და ინტერვიუები. ასევე თან დაურთეთ საკითხავი მასალები, რომელსაც გამოიყენებთ ან გამოიყენეთ.
- 5. არის რამე საბაზისო უნარები, რომლის ქონაც აუცილებელია თქვენი მოსწავლეებისთვის?** თუ ასეა ჩამოთვალეთ.
- 6. გამოწვევები და მათი გადაწყვეტის გზები:** თუ წააწყდით რაიმე ტიპის გამოწვევას გაკვეთილის ჩატარების პროცესში? როგორ გადაწყვეტთ/გადაწყვიტეთ?? (მაგალითად: პანდემიის პირობებში მოსწავლეებს არ შეეძლოთ წვეოდნენ სასაფლაოს ჯგუფურად, ამიტომ მე მომიწია თავად გადამელო ფოტოები)
- 7. მოგვიყევით დეტალურად, როგორ განახორციელებთ გაკვეთილს?** (ჯგუფური მუშაობა, აქტივობები).
- 8. განვრცობადობა:** როგორ შეიძლება ამ ცოდნის გადაცემა სხვა არეალში/სკოლებში/მოსწავლეებში?
- 9. გავლენა:** როგორი გავლენა ექნება თქვენს გაკვეთილს ებრაული სასაფლაოების დაცვის ნაწილში?
- 10. მდგრადობა:** როგორ დაეხმარება გაკვეთილი განგრძობადი ინტერესის გაჩენას ებრაული სასაფლაოების მიმართ? როგორც საზოგადოებაში, ასევე კონკრეტულად თინეიჯერებში?

გაკვეთილის ჩატარება

ეს არის კონკრეტული გეგმა მასწავლებლებისთვის, რომელთაც სურთ გაკვეთილის განხორციელება, ის უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაბიჯებს:

1. მიეცით მოტივაცია თქვენს სტუდენტებს; როგორ მათხდნით მათ მოტივირებას გაკვეთილის დასაწყისში? როგორ გახსნით თემას?
2. გაკვეთილი:
 - ა. აღწერეთ გაკვეთილის თითოეული ფაზა
 - ბ. მიუთითეთ თითოეული ფაზის ხანგრძლივობა
3. შეაჯამეთ აქტივობა: როგორ შეაფასებთ სტუდენტების კომპეტენციებს, ან უნარებს და ცოდნას, რომელიც მიიღეს თქვენმა მოსწავლეებმა? მაგალითად, დავალებით ვიზუალური პროექტის შექმნა, წერიითი დავალება და ა.შ.

რეფლექსია

გთხოვთ აღწერეთ თქვენი გაკვეთილის და გამოცდილების შეფასება ამ კითხვების დახმარებით

- როგორი იყო თქვენი გამოცდილება ამ გაკვეთილის ჩატარებისას?
- რა რეკომენდაციები გაქვთ სხვა მასწავლებლებთან, ვინც გადაწყვეტს იგივე გეგმის გამოყენებას?
- რამ იმუშავა კარგად?
- რას გააკეთებდით სხვანაირად? რა გამოწვევებს წააწყდით?

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით ადგილობრივ კოორდინატორს:

საქართველო:

თეონა დალაქიშვილი teonadalak@gmail.com